№ 25. 2 თებერვალი, ხუთშაბათი. 1866—1884. 2 თებერვალი, ხუთშაბათი. № 25.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## დროების ფასი პირველი თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი და 50 კაპ.

დღესასწაულის გამო ხვალ, პარასკევს, გაზეთი არ გამოვა.

### გორის უეზდის კეთილშობილთა წინამძღოლმელი

აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს უეზდის თავადთ და აზნაურთ მობრძანდენ ქ. გორს თებერვლის 5 დღესს, ათ საათზე, უეზდის კეთილშობილთა კრებაზე, რომელზედაც იქნება სალაპარაკოდ შემდეგი საგნები; 1) განაწილება ფულისა თავად-აზნაურზე, აღსადგენელად მათი შვილებისა. 2) განაწილება ფულისა შესანახად დეპუტატის კრების და წინამძღოლელების კანცელარიისა, და 3) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზე და სასარგებლო საგნებზე. (3—2)

### შინაური ქრონიკა

≈≈ სამშაბათს საღამოზედ შესდგა კიდევ სხდომა ჩვენის სამეურნეო საზოგადოებისა იმ საინტერესო საგნის თაობაზედ, რომელსაც მართლა რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. სეკრეტრის მაგიერად ბ. შავროვმა წაიკითხა გრძელი პროტოკოლი წარსული სხდომისა ისეთი «მშვიდი» კილოთი, რომ მოთმინებას მბ. წევრებისას კი განსაცდელი მიადგა. როგორც იყო მიაწია ბოლომდე. მასუკან წაიკითხეს მოხსენება წარსულს სხდომაზედ ამორჩეულ კომისიისა, რომლის გარჩევასაც მუხლით-მუხლად შეუდგნენ.

კომისიას ეცნო და კრებამაც მიიღო შემდეგი მუხლები: 1) რომ ჭირნახულის სპირტის გამოხდა, ჩვენშიაც იმ წესზე უნდა იყოს, როგორც რუსეთში. 2) მთიან, მიუდგომელ ადგილებში: სვანეთში, ხევსურეთში, ოსეთში და სხ. შინ-დასალევი არყის გამოხდა უბაჟოდ უნდა იყოს. 3) ხილისა და ჭაჭა-თხლის არყის აქციზის შეცვლა ერთგვარად უნდა მოხდეს.

ბოლოს დიდი ლაპარაკი გამოიწვია კითხვამ, თუ რა გვარი სპირტია საჭირო ღვინოს გასარევად?

უნდა გავტყდეთ, რომ ამ საგანზე ბევრი უბრალო აზრი წარმოითქვა: ერთნი, რომელთაც მეურნეობა კანცელარიებში შეუდგენიათ, იძახდენ, ღვინოსათვის სპირტი საჭიროა და როგორიც უნდა იყოს ეს სპირტი, პურისა, თხლისა, ჭაჭისა თუ სხვისა, სულ ერთია, (შავროვი, იგნატოვსკი და სხვ.) ერთმა იოხუნჯა კიდეც, მაშ ნიშადურის სპირტის გარევაც უნდა მოუხდესო. მეორენი (ელიოზოვი, იოსელიანი და სხვ.) ამტკიცებდენ, რომ ღვინოს სპირტი უნდა და თუ ვაჭრები სხვა სპირტსაც ურევენ, ჩვენმა საზოგადოებამ არ უნდა იკადროს და ამ გვარი თვალთმაქცობა არ უნდა მოიწონოსო (ბოლოს ამ აზრმა გაიმარჯვა). ერთმა კიდევ, პრაქტიკაში დახელოვნებულმა პირმა თავისთვის წაიბუტბუტა, ჩემს სარდაფში რომ მოვლენ ეს ვაჭბატონები, პირველად იმასა მკითხვენ—შენს ღვინოს არაყი ხომ არ ურევიაო და აქ—კი ერთმანერთს თავებს ამტვრევენ არა ეს სპირტი უნდა გავურიოთ, არა ესაო.

საზოგადოდ ამ კრებამ ის შთაბეჭდილება იქონია, რომ ბევრს, როგორც ეტყობა, ქართულ სოფელში ფეხიც არ შეუდგამთ და რაკი ლაბორატორიაში რამდენიმე თვე გაუტარებიათ, უნდათ ცხოვრება ქიმიის ფორმულასამებრ მოამართონ.

ბოლოს, როგორც იყო კრებამ დასძლია ამ საგანსაც და ღამის თორმეტ საათზედ სხდომა გადასდვა ხუთშაბათს 2 თებერვლამდე.

≈≈ სიამოვნებით გაძლევთ ალაგს ჩვენს გაზეთში ერთი კეთილ-სარწმუნო პირის ცნობას იმ უსიამოვნო ამბის თაობაზედ, რომელიც წარსულ პარასკევს სასახლის ქუჩაზედ მოხდა და ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული. ეს პირი გვარწმუნებს, რომ ამ ქუჩაზედ მიმავალებული ქალი მხოლოდ ცდილა შეურაცხება მიეყენებინა გ—ი ტ—ცისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს დროზედ აუცდენია ეს შეურაცხება.

≈≈ ქუთაისის სატუსაღოს თურმე ერთი იმისთანა გულმოდგინე ყარაულის უფროსი (дежурный по карауламъ) შეხვედრია ამ ცოტა ხანში, რომ სატუსაღოში ავადმყოფთან მისული ფერშალიც კი ტუსაღი ჰგონებია და ბნელ ოთახში დამწყვდევა მოუწადინებია. ბევრი უთქვამს სტუსაღოს ზედამხედველს, რომ ეგ ტუსაღი კი არა, ფერშალი არისო, მაგრამ ღვინით, თუ არყით გაჭირვეულებულს ყარაულის უფროსს ზედამხედველის საბუთებისათვის პატივი არ უცია და საბრალო ფერშალისათვის მუქარა აუსრულებია. ფერშალს თავისუფლება იმ დრომდე არა ღირსებია, ვიდრე ყარაულის უფროსი გონზე არ მოსულა. როგორც გვწერენ ამ საქმის თაობაზედ გამოძიება დანიშნულა.

≈≈ ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფებიან აქაური აქციზის გამგეობის უფროსი ბ. ფესუნი აქციზის ცვლილებაში მონაწილეობის მიღებისათვის და აგრეთვე განგებ აქედამ ამავე საქმის თაობაზე დაბარებული თ. ზ. ჯორჯაძე.

≈≈ პეტერბურგიდამ გვწერენ: «იანვრის 22-ს, კონონოვის ზალაში, ქართველმა და სომეხმა სტუდენტებმა გამართეს წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს «ხანუმა», სამ მოქმედებიანი კომედია თხზ. ა. ცაგარლისა,—სომხურად «ორი დამშეული» ერთ-მოქმედებიანი, ფრანცუზულიდამ ნათარგმნი, ვოდევილი. უზარმაზარი ზალა გაივსო მაყურებლებით. საზოგადოდ პეტერბურგელი პუბლიკისათვის ქართული ცხოვრება ბევრს უცნობს, ახალს წარმოადგენს. მეტადრე ლეკური მათთვის დიდი შესაქცევარია. მართლადაც, საზოგადოება წარმოდგენას აღტაცებით და განუწყვეტელი ტაშის-კვრით მიეგება. ძლიერ მოეწონა «ხანუმა», განსაკუთრებით მაჭანკლის თავისებურობა. პიესამ ბევრი მოიგო მაყურებლების თვალში იმით, რომ ყველა მოთამაშემ თავისი როლი კარგად იცოდა. მოსაწონად აასრულეს თავ-თავიანთი როლები: ქ. ვართანოვისამ, რაზუ-

---

### «დროების» ფელეტონი, 2 თებერვ.

#### სამშვილდე.

შუა-დღე მოტანებული იყო, როდესაც გავედით ალგეთს და შევუდეგით ძეძვიან ფერდობს. ცა ღრუბელს შეემოსა. თრიალეთიდამ ხეობაზე მოჰქროდა გრილი ნიავი. ალგეთის ნაყოფიერი, თითქმის მთლად ვენახებად გარდაქცეული ჭალა და ხევების პირზე მდებარე ს. დიდი-ენაგეთი უფრო და-უფრო ვრცლად იშლებოდა თვალწინ. ცხენები ხალისიანად და მხნედ მიდიოდენ აღმართზე ძეძვებ შორის შევლებულ ბილიკზე. ჩემი ჭალარაშერთული თანამგზავრი დაჰყურებდა ხეობას. მას დაფიქრებულს სახეს ცხადად დაეტყო აღელვება; თვალთაგან დაუწყო კრთოლვა ზენარე. ცეცხლმა და გულის სავსებისაგან ენამ წარმოსთქვა:

«საქართველოის მდინართ კიდენო, სამშობლო კიდევ!
თაყვანს-გცემ დილით და მზის ჩასვლისთ
თაყვანს-გცემ კიდევ,
დიდი მოთხრობა არის თქვენზე სისხლით ჩართული…
მაგრამ არ ვიცით და არ გვესმის, მისთვის არ ვზრუნავთ,
რა ისტორიის დედა-მიწას ფეხითა
ვთრგუნავთ».

ჩამოვარდა დუმილი.—მართალს ამბობს პოეტი,—განაგრძო თანამგზავრმა,—ცოტამ, ძლიერ ცოტამ იცის ჩვენის ქვეყნის წარსული და, მაშასადამე, ის ვალი, რომელიც წარსულს დაუდვია ჩვენზე. ვსტყუი თუ?—მათში უპირველესი მე ვარ, ვუპასუხე მე: ეს ხეობაც, რომელმაც შენ, ვგონებ, რაღაც ძველი ამბები მოგაგონა, ისე არას მაგონებს წარსულიდგან, როგორც ვერას მომაგონებენ სამშვილდის ნაშთები, საითაც მივყევარ.—არ გეცალა ქართლის ცხოვრებაში მაინც ჩაგეხედნა…—ეხლაც მოვასწრობ, შენგან მოვისმინო მისი ამბები.—სამშვილდის წარსულზე გინდა მოგაყოლო თუ?—დიახ.—მაშ მომისმინე; მე ჩამოვთვლი იმ შემთხვევებს მის წარსულიდგან, რომელთ გამოც მოხსენებულია იგი ჩვენს ისტორიაში:

სამშვილდე ძველთაგანვე განთქმული ციხეა. ის აშენებულია ქართველთ მამათ-მთავრისაგან. «ქართლოსმა ააშენა ციხე ორბისი, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე». მას შემდეგ, მრავალი საქართველოს მტერი უნახავთ იმ ციხის კედლებს და მრავალიც უკუუქცევიათ. მამასახლისობის დროს გამოვიდენ დარუბანდის გასავლით ხოზარნი, შემოჰყვნენ და აიკლეს მტკვრის არე-მარე. აუღებელი დაურჩათ მხოლოდ სამშვილდე და კიდევ რამდენიმე ციხე. მაკედონელის ხმალსაც კარგა ხანი უმაგრდა ციხე, თუმცა მან მაინც ბოლოს აიღო იგი. ფარნაოზის დროს სამშვილდე დაწესდა საერისთავოდ და იპყრობდა «სკვირეთის მდინარიდგან ვიდრე მთადმდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი». საურმაგ II-მ იშვილა სპარსეთით მოყვანილი მირვან, შერთო ასული თვისი და მისცა ქალაქი ზაჩიანი და სამშვილდის საერისთავო. ამ მირვანმა ბარტომ მეფის სიკვდილის შემდეგ «მძლავრობით გამოიყვანა ცოლი ბარტომისა სამშვილდით და შეირთო ცოლად». სამშვილდის ერისთავი ძლიერს შემწეობას უჩენს ფარსმანის ძეს

მოსკის ქალმა, პალანთაროვმა და ზრიქუროვმა. ქ. ვართანოვისამ ხანუმას როლი ძალიან კარგად აასრულა».

== ამ დღეებში დაბრუნდა თბილისში ბ. თბილისის გუბერნატორი ზემო-ქართლიდამ, სადაც დაესწრო მებატონეთა და გლეხთა შორის მორიგებას მამულების შესყიდვის თაობაზედ. როგორც გვაცნობებენ, ამ მორიგების საქმე კარგად დაწყებულა; ხუთს მებატონეს კიდეც გაუთავებიათ საქმე თავიანთ გლეხ-კაცებთან. გლეხ-კაცები თურმე «ნადელებში» არსად გადაჭრილს ფასზე მეტს არ აძლევენ, ესე იგი, დღიურზე სამს თუმანზე მეტს.

== რადგან ქალაქში ბევრი სხვა-და-სხვა გვარი მოარული ავადმყოფობა დადის, ამის გამო პოლიციისათვის მიუნდვიათ იარონ სახლებში და, თუ ვინიცობაა სადმე ავადმყოფობა აღმოჩნდება, მაშინვე ამისთვის დანიშნულ ექიმებს შეატყობინონ.

## «დროების» კორესპონდენციები.

**დაბა ყვირილა, 24 იანვარს.** მდინარე ყვირილის მარცხნივ მდებარებს სოფელი საქარა. ეს სოფელი, გარდა გზებისა, ბუნებისაგან ყოველ-ფრით დაჯილდოებულია. ამ სოფლის მცხოვრებლებს შეადგენენ თავადნი, აზნაურნი და უმეტესად გლეხ-კაცობა. ამ ორი სამი თვის წინად გარდაიცვალა აქაური მღვდელი მამა გიორგი საყვარელიძე, რომელიც, როგორც ამბობენ, ნამდვილი სულიერი მამა და ზნეობითი მასწავლებელი იყო თავისი სამწყსოსი. დარჩა მას შვილი—პრიჩეტნიკი, რომლისთვისაც ჯერ თავის სიცოცხლეშივე უნდოდა განსვენებულს თავის ადგილის მიცემა. გარდაცვალებულის გასვენებაზე მოპატიჟებული ბძანდებოდა მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელიც, რომელსაც იმ დღესვე სთხოვა საზოგადოებამ მისი შვილის კურთხევა; მაგრამ საქმე სხვა-ფრივ დატრიალდა და ამ ადგილზედ სხვა დაინიშნა. სოფელმა ეს ძალიან იწყინა და გადასწყვიტა ჭიპაშვილი არ მიეღო მოძღვრად. ბ. ჭიპაშვილმა სთხოვა ეპისკოპოზს რაიმე შემწეობა აღმოეჩინა. ეპისკოპოზმაც მისწერა პოლიციას და რადგან ეს უკანასკნელი ჩაგონებით ვერას გახდა, ორი სოფლის კაცი, როგორც სხვებზე მეტად მოწინააღმდეგენი, ციხეში ჩასხა.

... პატივცემული მღვდელი მაინც გამოგზავნეს იმ სოფელში და პოლიციას სთხოვეს ყურადღების მიქცევა და დახმარება...

ცხენების კვლა და ჩეხა ჩვენს სოფელში ძალიან გახშირდა. შარშან ღვინოში წაიკიდა ორი აზნაური ერთ თავადიშვილის სახლში და ერთმანეთს რომ ვერაფერი დააკლეს, გამოვიდა ერთი გარედ ჩუმად, და მიეპარა მეორეს ჯორს, რომელშიაც, მე თვითონ ვიცი, ოც-და-ათი თუმანი იყო მიცემული, ჰკრა ხანჯალი და იქვე სული გააყრევინა. საბარაქალო საქმე თუ გნებავთ ეს არის!

მადლობა ღმერთს—ბოლოს მოვესწარით რკინის ხიდს ჩვენს დაბა ყვირილაში; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ერთი თვალსაჩინო ნაკლულევანება აქვს ამ ხიდს, რომელზედაც მივაქცევ ვისიც რიგია მის ყურადღებას. ეს ხიდი, როგორც გაღმით, ისე გამოღმით, დაბჯენილია წყლიდგან ამოყვანილ ძველ ქვითკირის კედლებზედ. ერთი ამ კედელთაგანი ძლიერ ღრმად არის გამოთხრილი წყლისაგან, ასე რომ კედელს მიწაზედ არ უბჯენია ფეხი და ადვილად შესაძლებელია, რომ წყლის მომატების დროს ჩაიქცეს და ეს 25 ათას მანეთიანი ხიდი ფოთში გაგვექცეს, და ჩვენ ისევ იმ პარომის ანაბარა გავხდეთ, რომელმაც წურბელასავით ამოგვწოვა, რაც რამ გაგვაჩნდა.

შორაპნელი გლეხი.

**ქუთაისი, 29 იანვარს.** ამ უკანასკნელ დღეებში დიდი ფაცა-ფუცი იყო ქუთაისში. მიზეზი გახლდათ ახალი ხმოსნების ამორჩევა. ჯერ არ გვინახამს ამომრჩევლებში ამ გვარი ბეჯითობა და გაცხარება. თითქოს ყველას სურდა კენჭი ეყარა. რას მივაწეროთ ეს გარემოება, არ ვიცით. საზოგადოება გამოფხიზლდა და შეიგნო საზოგადო ინტერესებისათვის მოღვაწეობა, თუ აქ სულ სხვა რამ არის, ამას დროება გვიჩვენებს.

კენჭი იყარა ბატონმა ფხაკოვმაც. ფხაკოვი უცხო-კი არავის ეგონოთ. ეს გახლავთ ყველასაგან ნაცნობი ფხაკაძე, რომელსაც დავიწყებოდა, რომ «ვერ გათეთრდება ყორანი, თუ გინდ რომ ხეხო ქვიშითა». შენს მტერს, რომ ბატონი ფხაკაძე გაფხიკეს,—გლახად გაშავდა. მაგრამ ბ. ფხაკაძისათვის გაფხეკა პირველი არ გახლავთ.

ყველას ყურადღება მიქცეულია ეხლა ქალაქის თავის არჩევაზე. ბევრს სხვა-და-სხვა პირთ ასახელებენ ქალაქის თავად. საყვედური საყვედურზე ისმის ეხლანდელ გამგეობაზე. მაგრამ სახეში რომ მივიღოთ თვით საბჭოს დაუდევრობა საზოგადო საქმეებში, მაშინ ეს საყვედური გაზვიადებული გვეჩვენება. საბჭოა დედა-ბოძი ქალაქის თვით-მმართველობისა და მას ადვილად შეუძლიან შებორკოს გამგეობის უკანონო მოქმედება, თუ-კი ნამდვილ გულის ტკივილს აღმოუჩენს ქალაქს. სხდომის დროს დაუსწრებლობა, ბრუდესი და მართლის თავის ქნევა — აი თვისებანი ქუთაისის საბჭოსი. ქუთაისის საბჭო გახლდათ, რომ სტიპენდია მიანიჭა შემძლებელთა შვილებს ქუთაისის საქალო გიმნაზიაში და უარი უთხრა ღარიბთა. ამ გვარი მაგალითები ბევრი შეგვიძლიან დავასახელოთ, საცა საბჭოს გამოუჩენია განძრახ-შეცდომილება. ამით არავინ იფიქროს, რომ ჩვენ გვსურდეს ეხლანდელი ქუთაისის გამგეობას ქომაგობა გაუწიოთ. სრულიადაც არა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვსთქვათ, რომ არც ერთს და არც მეორეს თავი არ შეუწუხებია ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის.

დღეს-კი სასურველია, ახალმა საბჭომ ქალაქის თავად აღმოირჩიოს ღირსეული პირი და თვითონაც გულმოდგინედ შეუდგეს საქმეს.

## წერილი რედაქტორთან.

### I

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ:

სააზნაურო სკოლის გამგე კომიტეტისაგან გამართული ბალიდამ, ამ წლის 6 იანვარს, შემოვიდა სულ 1813 მანეთი. აქედგან დახარჯულ იქმნა:

ევროპიულ მუზიკაზე 68 მ., საზანდრებზე 37 მ., ბუფეტზე 40 მ. 50 კ., დარბაზის განათებაზე და მოსამსახურეებზე 33 მ. 50 კ., ბილეთების და აფიშების დაბეჭდვაზე 11 მ., წვრიმალი ხარჯი 5 მ.—სულ 193 მ. ხარჯს გარედ, დარჩა კასსაში 1620 მ. წმინდა შემოსავალი. სააზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი, აცხადებს რა საყოველთაოდ ამა ანგარიშსა, ვალდებულად რაცხს, მოახსენოს გულითადი მადლობა მისს უგანათლებულესობას კნეინა თამარ დავითის ასულს გრუზინსკისას იმ მხურვალე მონაწილეობისათვის, რომელიც მათ მიიღეს ბალის გამართვაში. კომიტეტი წრფელის გულით მადლობას უცხადებს აგრეთვე თბილისის «კრუჟოკის»

---

აბაზას II-ს. მირიანის ძემ ბაქარმა სპარსეთის მეფის ძეს ფეროზს, რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავამდინ, მისცა გაცვლით მის წილ სამშვილდიდგან მიღმართ ქვეყანა ვიდრე თავადმდე აბოცისა და მით მოისყიდა ის სომხების წინააღმდეგ. მირიდატის ძემ არჩილმა მოსცა თავის შვილს მირიდატს სამშვილდის საერისთავო და მან თავის მშვენიერი მეუღლით სადუხტით, ონის ერისთავის ქალით, აქ დაისადგურა; აქ სადუხტ გულისხმა-ჰყო და სცნა სჯული ჭეშმარიტი და ნათელ-იღო; მან აღაშენა სიონი სამშვილდისა. გორგ-ასლანი გაემგზავრა სპარსეთისკენ; მან ჰყო თავის ხუთის წლის დარჩი მეფედ და ჩააბარა იგი და სამეფო სხვათა შორის სამშვილდის ერისთავს ადარნასეს. ბაგრატ მესამის მოძმეებმა სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ს. ქვეშის ჰალაში და მოჰგვარეს მეფეს. მეფემ სთხოვა სამშვილდე სომეხთ და, რა არ მოსცეს, აიღო ციხე; მიიყვანეს იქ კვირიკე, «ამართეს ძელი და გასვეს სომეხთა მეფე კვირიკე». მერე ითხოვეს სომეხთა მშვიდობა; მოსცეს სამშვილდე ბაგრატს. ქართლის და აფხაზეთის მეფემ გიორგიმ უბოძა სამშვილდე დასამშვიდებლად ლიპარიტის-ძეს იოანეს, მაგრამ თავის საწვალებლად: იოანე კვალად განდგა. გაიგო გიორგიმ და მოადგა სამშვილდეს. ვერ დადგა იოანე ციხეში და მიჰრიდა სომხეთის მთებისკენ. შეურიგდა მეფეს და ისევ დაიმკვიდრა სამშვილდე. მასუკან ისევ განდგა. ამ ხანებში მოვიდა სულთანი მელიქ-შაჰ, მიეგება იოანე მას; სულთანმა შეიწყნარა. იოანე მასაც განუდგა. მოადგა სულთანი სამშვილდეს; წარუღო ციხე; ტყვე ჰყო იოანე ჯალაბობით; დაიპყრეს თათრებმა სამშვილდე და იქიდამ ქართლი. ეწყო მათ გიორგი მეფის ლაშქარი ფარცხისს და აოტა. დავით აღმაშენებლის დროს სამშვილდე ეპყრათ თურქთ, მაგრამ ქართველთა სიმარჯვით დაიპყრეს ციხე. სცნეს რა თურქთა სამშვილდის აღება, დაუტევეს უმრავლესნი ციხენი სომხეთისანი და ღამე ივლტოდენ. გიორგი მეფის გარდაცვალების დროს მისი და—მამიდა თამარისა—იმყოფებოდა სამშვილდეს და იქიდამ მოიყვანეს. ხომ გახსოვს როგორი მონაწილეობა მიიღო იმან თამარის გამეფებაში? ჩინგის-ყაენის ჯარმა, შემდეგ ლაშას დამარცხებისა, მოაწია ვიდრე სამშვილდემდე და იქიდამ უკუიქცა; მაგრამ თათრებმა შემდეგში მაინც დაიპყრეს ეს ციხეც და დაუბრუნეს რუსუდანს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დაეზავა მათ და გაგზავნა მათთან შვილი თვისი დავით. სვიმონ მეფეს რომ მისცეს თავისივე მამული და გამოგზავნეს, მაშინ დაუთხან, რა ნახა რომ ყიზილბაშებმა დაუტევეს იგი, მისცა ლალა-ფაშას ქართლი და წავიდა ხონთქართან. ოსმალებმა მაშინ სამშვილდეს შემუსრეს ეკლესია სიონი და განამაგრეს ეს ციხე, მაგრამ სვიმონ მეფე მოადგა სამშვილდეს, შეაპარა ქურდის კარიდგან სპანი ღამით და აიღო ციხე. ვახტანგის შვილი ბაქარი გამოიპარა ქალაქიდამ, მოვიდა ციხესა სამშვილდისასა და აქედამ დაუწყო ურუმთ მონაპირე ლაშქარს ბრძოლა.

ამ ძველ ამბების ჩამოთვლაში იყო ჩემი თანამგზავრი, როდესაც ჩვენ გადავიარეთ გორა და გადავედექით თავქვეს. ჩვენ წინ გამოჩნდა ღელე,

გამგე პირთა კრუჟოკის დარბაზის უფასოდ დათმობისათვის.

კომიტეტის თავჯმდომარე

კონსტანტინე მამაცოვი.

II

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე წერილს მისცეთ ადგილი თქვენის გაზეთის უმახლობელესს ნომერში.

კომიტეტმა დაწესებულმა გადღეგბისათვის ნოტზედ ქართულის გალობისა, გუშინდელს სხდომაზედ გადასწყვიტა, რათა მოიწვიონ ის პირნი, რომელთაც იციან გალობა, რომელსაც გალობენ საქართველოს ეპარხიაში ქართველნი; ამის გამო, კომიტეტი სთხოვს იმ პირთა, რომელთაც იციან მტკიცედ ქართული გალობა, შემოიტანონ კომიტეტის სახელზედ განცხადება, რომელშიაც აღწერენ, ვინ რა გალობა იცის, და მან უნდა დაიჭიროს ეგზამენი კომიტეტის წევრებთან და უკეთუ აღმოჩნდება იგი ჯეროვან მცოდნედ, მაშინ იგი შეეკვრის კომიტეტს პირობითა: პირველად იგი უნდა მოურიგდეს კომიტეტს ჯამაგირის მიცემაზედ, მეორედ, მან უნდა იგალობოს ბ. ქორიძესთან ყოველ დღე, გარდა კვირიაკეთა და დღესასწაულთა დღეთა დღეში ხუთი საათი, და მესამედ—უკეთუ იგი მოაკლდება დანიშნულს საათებს თვინიერ შესანდობელის მიზეზისა, მაშინ იგი გარდაიხდის სამს მანათს ჯარიმას სასარგებლოდ ამავე საქმისა; განცხადება ტფილისში მცხოვრებელთა უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს სამისა დღისა.

თავჯ-მჯდომარე კომიტეტისა,

არხიმანდრიტი მაკარი.

არხიმანდრიტი გრიგორი.

1884 წელსა თებერვლის 1 დღესა.

## მასალა გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიისათვის.

თავადის ორბელიანის გალაშქრება ძველს ბურტუნაისკენ ციხის ასაშენებლად *).

თავადი ორბელიანი ჯარებით ჩირკეიდამ გაემგზავრა ძველი ბურტუნაისკენ. ეს რომ გაიგო შამილმა, მაშინათვე მთელი დაღესტნის და ჩეჩნის ჯარებით დარგოდამ გამოვიდა (15 ზულკაადს $\frac{1273}{1857}$ წელს) და სოფ. ახალ ბურტუნაში დადგა. რადგანაც გაამაგრა და გარს თხრილი შემოავლო ამ ადგილსა, შიგ ჯარები და ნაიბები ჩააყენა და თვითონ კი წავიდა და ს. ჩორტის მიდამოში გამაგრდა აქედგან ხშირად თავის ჯარის დასტებს გზავნიდა აუხისკენ და ჩირკეისკენ. აქ ტყეში მოხდა შეტაკება. მთიელნი დამარცხდნენ და გაიქცნენ. ბევრი დახოცილები აქვე დასტოვეს. თუხნუცალის ნაიბი (ბოქოული) ისმეილ ბოტლიხელი თავ-მოჭრილი დარჩა სალდათების ფეხ-ქვეშ. მუსტაფა აჭმად გუდალელიც მოკლულ იქმნა. სალდათებს დარჩა მრავალი იარაღი და საცმელი მუსულმანებისა. ამასობაში რუსნი იშენებდნენ კოშკებსა, ჰკაფავდნენ ტყეებსა და გაჰყავდათ გზები. ამ დროს თოფის სროლა და მტრების შეჯახება არ შეწყვეტილა. ხან იმარჯვებდნენ რუსები, ხან მთიელნი. უკანასკნელთაგან ბევრი მოკლულ და დაჭრილ იქმნა. ჯემალედინს (შამილისძეს **) თავის მამის რუსებთან მორიგება უნდოდა. ამიტომ სთხოვდა მამას გაეგზავნა თავისი მოციქულები ზავის პირობების შესაკრავად სალავათ ენდრეევსკისთან, რომელიც ამავე მიზეზით თავად ორბელიანისაგან გამოგზავნილი იყო შამილთან. მაგრამ შამილმა არათუ არ მიიღო ჯემალედინის თხოვნა, არამედ რუსის მოციქულთან მოლაპარაკების ნებაც არ მისცა. ამან ძლიერ შეაწუხა ჯემალედინი. ამ ნაირად ორი თვე იდგა შამილი ჩირკეისთან და მერე თავის სამი შვილით დაბრუნდა დარგოში, ბურტუნაის დასაცველად კი იქვე დასტოვა თავის ჯარის ნახევარი. შამილის წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, განთიადზე, პოლკოვნიკი რადუსა დაეცა ახალს ბურტუნასა. იქ მყოფთ მთიელთ ჯარები და ნაიბნი უბრძოლველად გაიქცნენ და თავ-თავის სახლებში დაბრუნდნენ. რუსებმა კი, როდესაც აიღეს ახალი ბურტუნა, შიგ ჯარები ჩააყენეს. ზამთარში კი რუსები სიმაგრეების ასაშენებლად მოვიდნენ ქიშენ-აუხში. შამილიც თავის ჯარებით მოვიდა ს. ბილარ-კი განში და უბძანა აეშენებინათ სიმაგრეები ახალ-ბურტუნას და ს. ჯანთგოს შუა. აქ რუსების საწინააღმდეგოდ ჩააყენა თვისი ჯარი და რამდენიმე ნაიბს მათი უფროსობა მიანდო. უშიშარი თავადი ორბელიანი იქ მოვიდა ჯარითა. გაიმართა ბრძოლა. შამილის ნაიბები დამარცხდნენ და დიდის ზარალით გაიქცნენ. ნაიბი შამხალი თავ-მოჭრილი დარჩა ბრძოლის ველზე. აქვე მოკლულ იქმნა 200 კაცი. ამის შემდეგ, ყველა საქმეებში შამილს აღარ ემარჯვებოდა. ხალხი ამბობდა, რომ ეს წყალობა ეკუთვნის ორბელიანს და მასთან ბრძოლა ხელს არ მოგვცემსო. ქიშენ-აუხში 300 კაცი მოკვდა, 450 დაიჭრა. მოიკლა სამი კაჟ-კაცი ნაიბი: გიტინაუ-გიდატლის ნაიბი, შამხალი-ნაიბი ტონდალალისა და ბოკალალისა და ისმეილი-ნაიბი ტახნუცალისა. არც ერთ ბრძოლაში ამდენი ნაიბი არ მოკლულა. ბურტუნაის ციხის აშენების შემდეგ, შამილის საქმეები საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს. რუსები ვერასოდეს ვედენოში ვერ შევიდოდნენ, თუ წინ და-წინვე ბურტუნას ციხე არ აეშენებინათ. ბურტუნას ციხის აშენების შემდეგ, შამილი წააგავდა ცხვარს, რომლისთვისაც მგელს კისერში წაეჭირა და რომელსაც უკვე ლი იმედი თვის განთავისუფლებისა დაჰკარგოდა.

მოსე ჯანაშვილი.

*) ეს ცნობები ჩვენ გადმოვიღეთ ჰაჯიალის წიგნიდამ, «თვით მხილველის მოთხრობა შამილზედ». (იხ. Сбор. свѣд. о Кав. гор.; Вып. VII. გვ. 50 და 51).

**) ჯემალედინი რუსეთში ამანათად წაყვანილი იყო. ის დიდხანს დარჩა. ბოლოს 1854 წ., დაბრუნდა თავის სამშობლოში და ხალხმა დიდის სიყვარულით მიიღო. იგი გარდაიცვალა კარატში 1857 წელს.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

31 იანვარს.

პეტერბურგი. გენერალი რიხტერი. თითქმის სრულიად მორჩა მტკივნეულობისაგან, რომელმაც ერთხანს კინაღამ ფილტვების ანთება დაჰმართა.

ხმებია, ვითომც დიდ მარხვაში რუსულ წარმოდგენათა გამართვის ნება მიეცემათ მარტო კერძო თეატრებს, როგორც დედა-ქალაქებში, აგრეთვე პროვინციებშიც.

პარიჟი. ტელეგრამა ფრანცუზების ეპისკოპოზისა პიუგინიესი, რომელიც ტონკინში იმყოფება, იუწყება, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დახოცეს: ერთი ღვდელი, 22 სჯულის მასწავლებელი და 215 ქრისტიანი.

იმ სამხედრო გემის კომანდირს, რომელსაც სუაკიმში ჰგზავნიან, ნაბძანები აქვს დაიცვას საფრანგეთის ქვეშევრდომნი და მონაწილეობა არ მიიღოს ქალაქის დაცვაში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა, რომ არავითარი მოლაპარაკება არა ყოფილა საფრანგეთთან შესახებ იმისა, რომ საფრანგეთი ინგლისსთან ერთად ეგვიპტის საქმეებში ჩაერიოს.

გაზეთი «ტაიმსის» მთავარი რედაქტორი გარდაიცვალა.

---

რომელიც აღმოსავლეთისკენ თანდა-თან ფართოვდებოდა და გადადიოდა ტაშირ-ველად ღელეში და ველზე წრესავით გავლებული ჰქლები გვიჩვენებდენ მდინარეთა ალაგს. ეს იყო ხრამის არე-მარე. სიამოვნებით დაეშტერდი თვალ-წინ გაშლილ სურათს. რამდენჯერმე კიდეც მივმართე კითხვით თანამგზავრს, მაგრამ მან, ძველის მოგონებით გატაცებულმა, ყურადღება არ მომაქცია და განაგრძობდა:

შაჰ-ნადირისაგან მოვიდა ირაკლი მეფის დაბარების ამბავი. მეფე ლუარსაბმა დაასკვნა ირაკლის მაგივრად თითონ წასულიყო. გაემგზავრა და მივიდა სამშვილდეს; უბძანა აბდულ-ბეგს,—აბდულ-ბეგი, მეფე იასეს შვილი—მაშინ თავის ჰარამ-ხანით აქა ცხოვრობდა:—«რადგან მეფე ირაკლი მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლის, ქართლს მოუარე და ერთმანერთის კითხვით ქვეყნები მტრისაგან გაამაგრეთო». აბდულ-ბეგმა გაატანა ლო მეფე ლორის ციხემდე, საიდამაც წამოიღო ზარბაზნები და ჯაბახანა. შეირიგა, რაც ქართლში ლეკი იყო; სულხან ორბელიანიც თავის ლეკებით მიუდგა მას; საბარათაშვილო შემოიფიცა. განიზრახა: თუ ლუარსაბი ველარ მოვა, ქართლს დაეპატრონებიო. აშენა სამშვილდეს ორი დიდი ბურჯი ამიერ და იმიერ, გააკეთა დიდი აუზი წყლის საგუბრად. ერეკლეს, რასაკვირველია, ეწყინა ეს; გამოუგზავნა ტფილელი ეპისკოპოზი ათანასე მოსალაპარაკებლად. აბდულმა შეუთვალა—ქართლი ჩემიაო. შეიქმნა მტრობა და ომი. ერეკლე მივიდა დიდის ჯარით და შემოადგა სამშვილდეს. ციხე ვერ აიღეს. მისცეს ერთმანეთს პირობის წერილები და მოშალეს ბრძოლა.

აბდულ-ბეგმა კიდევ არ მოისვენა: წავიდა ალი-შაჰ ყეენის აჯანყებულ სპასალართამ ამირ-ასლან-ხანთან, მოიცა მისგან ძალა, აუჯანყა ერეკლეს ყაზახი და წამოვიდა ერეკლეს წინააღმდეგ. სოფელს ქოჟაში მას შემოეყარა მისი ძმა უსეინ-ბეგ თვისი ჯარით. შეერთებული ჯარი ლაზარობის წინა ღამეს ს. შინდისის წვერზე მოვიდა. ერეკლე მზად იყო; გავიდა ქალაქიდამ. ეწყო, სძლო, დასცა ღვთისრისხვა, მიჰყვა იალღუჯის ბოლომდე...

აჯიჩალების ჩვენს მეფეზე გამარჯვების შემდეგ, თათრებმა ძლიერ შეაწუხეს ჩვენი მამული; მაშინ მეფეებმა რევაზ სარდალს უბძანეს სამშვილდეს დგომა; სარდალმა ციხე გაამაგრა და დახიზნა მასში სომხითი. მერე სამშვილდესაც, როგორც მრთლად ერს, პირი უკუღმა შეაქცია ბედმა... მაგრამ...

«მაგრამ რა გითხრა, რა გიანბო!.. ჩვენს
ულონო სულს,
ჩვენსა გაყინულს, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ
აცხოველებს,
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვგვრის ცრემლებს»...

გ. ბარნოვი.

(დასასრული შემდეგ)

31 იანვარს.

ხარკოვი. სასტუმრო ეზოში გაჩენილი ცეცხლი გააქრეს. გადიწვა 10 მანუფაქტურის დუქანი და 4-ც დაზიანდა; ზარალი ერთ მილიონ მანათზე მეტია; დამწვარი დუქნები დაზღვეულნი იყვნენ «რუსეთის, სალამანდრის, პეტერბურგის და, პირველს როსიიის» საზოგადოებებში.

კაირი. აჯანყებულებმა დაიპყრეს სინკათი და იქაური გარნიზონი მთლად ამოსწყვიტეს, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს. სინკათის კომენდანტმა მტრის იერიშით მოსვლამდინ ბძანება გასცა, რათა ფორტები ეფეთქებინათ და ზარბაზნები გაეფუჭებინათ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ დაადგინა, რათა ბრადლოს არ მიეცეს ნება ფიცის მიღებისა და ამის გამო ბრადლომაც დაუტოვა დეპუტატობა, მაგრამ განზრახვა აქვს შემდეგ კიდევ ახალად ამოერჩევინოს დეპუტატად.

ქრისტიანია. აქ იპოვეს შემაძრწუნებელი პროკლამაცია; მისი შემადგენელი დაიჭირეს და სამართალში მისცეს.

ნიუ-იორკი. აქ ჰქონდათ ყრილობა 500 გერმანიის და ჩეხიის სოციალისტებს; ყრილობამ რამდენიმე რეზოლიუცია მიიღო; ეს რეზოლიუციები ამხნევებენ სოციალისტებს—განძლიერონ ავსტრიაში ტერრორიული მოქმედება.

წყალ-დიდობა ჯერ კიდევ მატულობს; ქალაქი ბელპრე, ოგეიოს შტატში, სულ ერთიანად წალეკილია, სახლების გარდა.

პეტერბურგი. 1 თებერვალს. გუშინ გარდაიცვალა წევრი სახელმწიფო რჩევისა კოვალევსკი.

«ჟურნალ დე სანპეტერბურ» ამტყუნებს «კაზაჩი ვესტნიკის და მისგავს სხვა გაზეთებში გადაღებულს ცნობას, ვითომც ტაშკენტიდამ გაეგზავნოთ ჯარი ბუხარაში და ავღანისტანის სამზღვრებისკენ.

პარიჟი. გუშინ დილას დაწყებული ხელის-მოწერა ახალს სესხზედ 350 მილიონ ფრანკისა, საღამოზედ გათავდა. რადგან ერთი სამად თუ ოთხად მეტმა მოაწერა ხელი, სანამ საჭირო იყო.

ლონდონი. ლორდთა პალატამ 181 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 81 ხმისა მიიღო სალისბიურის წინადადება, რომელიც ჰკიცხავს გლადსტონის კაბინეტის გარეშე საქმეების პოლიტიკას.

გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა ლორდთა პალატაში რომ ინგლისს განზრახვა არა აქვს ეგვიპტე თავის სამფლობელოს შეუერთოსო, არამედ იუფლებს იქ, ვიდრე ეგვიპტეს მკვიდრი მმართებლობა არ ეყოლებაო.

გუშინ საღამოზედ ეგვიპტეში ბევრი ოფიცრები წავიდნენ. ამბობენ რომ კიდევ ჯარის გასამზადებლად ეგვიპტეში წასვლისათვის სამხედრო და ზღვის არსენალებში ცხარე მუშაობაა. როგორც ისმის, ლამანშის ესკადრას რომელსაც უფროსობს ედინბურგის გერცოგი, ებძანა ეგვიპტეში წასვლა.

ვენა. მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში პროექტი დამატებითის კრედიტისა ვენის პოლიციის გასაძლიერებლად.

## განცხადებანი


გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ალი, მოთხ. ნ. ლომოურისა . | 30 კაპ. |
| დედა მაია, მოთხ. ს. მგალობლიშვილისა . . . | 20 — |
| ბედ-უკუღმართი ჯალაბობა, მოთხ. ალ. მირიანაშვილისა . . . . | 15 — |
| იოვანე შავთელი (ბიოგრაფია) ზ. მთაწმინდელისა . . | 15 — |
| ნობათი, საყმაწვილო ჟურნალი, თითო 50 კაპ. მთელის წლის . . . | 4 მან. |
| ხომლი, გამოც. გოგებაშვილისა . . . . . | 30 კაპ. |
| კუნწულა, გამ. გოგებაშვილისა | 40 — |
| Первый шагъ, ლ. ალნიაშვილისა . . . . . | 40 — |
| ანტონ ფურცელაძის ნაწერი, პირ. წიგნი . . . . . | 1 მან. |
| ანატომია კაცისა, ალ. კავთელისა . . . . . . | 15 კაპ. |
| საქართველოს აოხრება, (ისტ. ბროშიურა) . . . . . | 10 კაპ. |
| სამზარეულო, შედგ. ბარ. ჯორჯაძისაგან . . . | 1 მან. |

(5—3)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული «კედლის კალენდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები. ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

ისყიდება «ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი მაური, უსურათოდ შვიდი მაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—22)

## ПОСТУПИЛИ ВЪ ПРОДАЖУ СЛѢДУЮЩІЯ КНИГИ:

*Практическое Руководство* къ познанію лошади по наружному ея осмотру, составилъ Ф. Руттенбергъ, съ 171 рисункомъ и многими таблицами, чертеж., издан. 3-е, ц. 2 р. 50 к. съ пересылк.

*Столярное Искуство*, съ 151 рисункомъ и многими чертежами, составилъ В. Ленцингъ, издан. 2-е, ц. 2 р. 50 к. съ пересылк.

*Практическій Ветеринарный Врачъ*, леченіе лошадей, коровъ, овецъ, козъ, свиней, собакъ и домашней птицы, съ присовокупленіемъ конскаго знатока и ветеринарной рецептуры, составилъ профессоръ ветеринаріи А. Фишеръ, въ 3-хъ част., издан. 2 е, ц. 3 р. съ пересылк.

*Домашній Общедоступный Вкусный Столъ*, настольная книга для молодыхъ хозяекъ, содержащая въ себѣ 370 обѣдовъ и употребительныхъ блюдъ съ подробнымъ алфавитнымъ указателемъ на каждый день, составила Н. Колоситцева, въ 2-хъ част., ц. 2 р. 50 к. съ пересылк.

*Единственныя Практическія Правила* для приготовленія всякаго рода печенія, вареній, кондитерскихъ издѣлій и разныхъ запасовъ на зиму, составила Люцена, съ 278-ю рецептами, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.

*Практическія Врачебныя Наставленія* вступившимъ въ бракъ, содержащія въ себѣ правила для сахраненія физическихъ способностей въ брачной жизни до глубокой старости съ присовокупленіемъ описанія половой жизни женщины, сочиненіе доктора медицины Рудольфа Ферносу, съ рисунками, издан. 4-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.

*Лечебная Книга* тысяча новыхъ случайныхъ открытій исцѣленія хроническихъ и другихъ болѣзней съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовленія, составилъ докторъ медицины А. Ильинскій, въ 3 част., издан. 2-е, ц. 3 р. съ пересылк.

*Опытный Врачъ* секретныхъ болѣзней, настольная книга для молодыхъ людей, содержащая въ себѣ: леченіе венерическихъ болѣзней, онанизма, триппера, мужскаго безсилія, и женскаго безплодія и прочихъ болѣзней половыхъ органовъ, составилъ докторъ В. Новиковъ, въ 3 част., ц. 2 р. съ пересылк.

*О физическихъ* супружескихъ отношеніяхъ мужчины и женщины, съ показаніемъ наставленій—какъ мужъ и жена должны вести себя въ этомъ случаѣ безъ вреда своему здоровью, сочиненіе доктора медицины А. Брауна, издан. 2-е, въ 2 част., ц. 2 р. 50 к. съ пересылк.

*Объ Онанизмѣ* и безсиліи, о средствахъ снова возстановлять и укрѣплять здоровье, разстроенное онанизмомъ и безсиліемъ, сочиненіе доктора медицини А. Брауна, издан. 2-е, ц. 2 р. съ пересылк.

*«Геморой»*, коренное уничтоженіе болѣзни во всѣхъ ея видахъ и измѣненіяхъ, новыя медицинскія и гигеническія средства, сочиненіе доктора медицины В. Лебеля, издан. 2-е, ц. 2 р. съ пересылк.

*Будьте Здоровы* и лечитесъ сами, когда нѣтъ врача, самоучитель сельскаго леченія и исцѣленія хроническихъ и другихъ болѣзней, съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовленія, составилъ докторъ медицины К. Бенедиктовъ, въ 5-т част., ц. 4 р. съ пересылк.

*Ремесленная Книга*, содержащая въ себѣ слѣдующія ремесла и искуства для самообученія: I, сапоженое мастерство, II, портное мастерство, III, столярное искуство, IV, плотничное искуство, V, токарное мастерство, VI, механическое и слесарное мастерства, VII, переплетное и футлярное мастерства, VIII, часовое мастерство, составилъ В. Власенъ, съ 276-т рисунками, ц. 3 р. 50 к. съ пересылк.

*Домашній Фотографъ*, Аппаратъ для копированія дома всякихъ фотографическихъ карточекъ, гравюръ, картинъ, портретовъ и проч., совершенно сходно съ оригиналомъ, съ приложеніемъ наставленія прибора и многихъ фотографическыхъ карточекъ и гравюръ, ц. 4 р. съ пересылк.

*Собраніе* множества чудесныхъ и непостижимыхъ фокусовъ для легкаго представленія каждому въ домашнемъ кругу, составилъ профессоръ Жанъ-Мартини, издан. 2-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.

*Новый Способъ Рисованія*, посредствомъ котораго всякій, даже неимѣющій понятія о рисованіи, можетъ весьма легко, безъ всякой предварительной подготовки, снимать всевозможныя копіи съ рисунковъ, картинъ, фотографическыхъ картъ, гравюръ, портретовъ и проч., совершенно сходно съ оригиналомъ, съ приложеніемъ наставленія прибора и многихъ рисунковъ въ великолѣпномъ картонажѣ, ц. 3 р. съ пересылк.

*Гадательныя Карты* знаменитой предсказательницы дѣвицы Ленорманъ, въ роскошной сюрпризной коробкѣ, ц. 2 р. съ пересылк.

*Оракулъ* супружеской жизни или бракъ и любовь, совѣтникъ для всѣхъ, желающихъ быть счастливыми въ брачномъ состояніи, мысли извѣстныхъ писателей касательно воспитанія, предназначенія человѣка, женскаго пола, брачнаго состоянія и домашняго счастія, составилъ В. Россоловскій, издан. 2-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.

*Сладострастіе и Истощеніе*, общедоступное изложеніе всѣхъ средствъ для совершеннаго излеченія венерической болѣзни во всѣхъ ея видахъ и проявленіяхъ, возстановленіе плодородія, леченіе безсилія и безплодія, возрожденіе утраченныхъ физическихъ силъ съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовленія, составилъ докторъ медицины П. Сорокинъ, въ 3 част., издан. 2-е, ц. 3 р. съ пересылк.

*Домашній Лечебникъ*, или о продолженіи человѣческой жизни, заключающій въ себѣ средства, какъ достигать здоровой и веселой старости, предохранять здоровье надежнѣйшими средствами и пользовать болѣзни всякаго рода, съ показаніемъ причинъ и лекарствъ, составилъ М. Энгалычевъ, 4 т., издан. 2-е, ц. 4 р. 50 к. съ пересылк.

СЪ ТРЕБОВАНІЯМИ Г.г. Иногородніе благоволятъ обращаться исключительно на имя *Христофора Ивановича Патрова, С. Петербургъ*, Прядильная улица, близъ Англійскаго проспекта, домъ № 32, кв. № 4.

(2—1)


*Доз. ценз. Тифлисъ, 1 Февраля 1884 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.